საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ბურჯანაძის* ---------- შეფასების შედეგი:

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 14 | 20 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 17 | 20 |
| წერის უნარი | 19 | 20 |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 14 | 15 |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 15 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 3 | 5 |
| პროფესიული აქტივობები | 3 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 85 | 100 |

**სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი**
**თარიღი: 27.05.2021 წ.**

**თამარ ბურჯანაძე**

**შეფასების დასაბუთება**

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით*

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | | **კომენტარი** |
|---|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ | კანდიდატი არის თავშეკავებული და კორექტული. ის იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. კანდიდატი შესაბამისი პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურეობრივ თუ სხვა მოვალეობებს, მათ შორის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ამასთან, კანდიდატს ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტაციული სახდელი არ დაკისრებია. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ | |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ | |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | | **კომენტარი** |
|---|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** | |
| სამართლის ნორმების ცოდნა | **14** | **20** | კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს. დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნა ადამიანის უფლებებისა და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | თავისუფლებების სფეროში. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატი არ იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 17 | 20 | კანდიდატს აქვს დასაბუთებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი. თუმცა, მან ნაკლებად მოახერხა თავისი გამოცდილებისა და დაგროვილი ცოდნის წარმოჩენა. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული, თანმიმდევრული და გასაგები. |
| წერის უნარი | 19 | 20 | თავის მოსაზრებებს წერილობით კანდიდატი გადმოსცემს ნათლად და გასაგებად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 14 | 15 | კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების უნარი, ის არის გაწონასწორებული. ამასთან, თანმიმდევრული და გასაგები ენით გადმოსცემს თავის მოსაზრებებს. |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 15 | 15 | კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მას აქვს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საპროცესო ვადების თითქმის სრული დაცვა. |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 3 | 5 | კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ის საკმაოდ აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. თუმცა, კანდიდატმა სათანადოდ ვერ გამოავლინა სიახლეების მიმართ ღიაობა, მაგალითად, მან ამომწურავად ვერ იმსჯელა ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებით. |
| პროფესიული აქტივობა | 3 | 5 | კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას. თუმცა, ის ხშირად ესწრება სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრას, სადაც ღიად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. |
| **ქულათა ჯამი** | **85** | **100** | |

| | |
|---|---|
| **დასაბუთება** | საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მის რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ სპეციალურ კითხვარებსა და რეკომენდაციებს.<br><br>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.<br><br>**<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, თამარ ბურჯანაძის, შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:<br><br>• *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*<br>• *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*<br>• *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*<br>• *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*<br>• *ფინანსური ვალდებულება.*<br><br>**<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>**<br><br>მოძიებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ამასთან, მას არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს 2017-2020 წლების პერიოდში ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია. ამდენად, კანდიდატი შესაბამისი პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერებით ეკიდება თავის მოვალეობებს.<br><br>**<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>**<br><br>კანდიდატს გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მის დამოუკიდებლობას, კეთილსინდისიერებასა და სამართლიანობას დადებითად აფასებენ |

| | |
|---|---|
| | გამოკითხული რესპოდენტები.<br><br>მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ანდა მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად მას არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.<br><br>**<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>**<br><br>კანდიდატს სათანდოდ აქვს გააზრებული მისი, როგორც მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა, ის შესაბამისად იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.<br><br>კანდიდატმა გასაუბრების მსვლელობისას გამოავლინა თავშეკავებულობა და კორექტულობა. მას გააჩნია ემოციების მართვის უნარი. თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს გამჭვირვალედ და ღიად, ამასთან კორექტულობის სრული დაცვით. კანდიდატის ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებასა და სამოსამართლო ეთიკის ნორმებს.<br><br>მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ბურჯანაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ ფიქსირდება, ამასთან ის არ წარმოდგენილა მხარედ ან დაზარალებულად.<br><br>**<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>**<br><br>მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობასა და ა.შ.. ამასთან, მათ მიაჩნიათ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს იმგვარი სისუსტე ან ნაკლოვანება, რომელიც მას ხელს შეუშლის სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაში. |

**<u>ფინანსური ვალდებულება</u>**

როგორც უკვე აღინიშნა, თამარ ბურჯანაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. რაც, თავის მხრივ გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, თამარ ბურჯანაძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u>

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმების**</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

**<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>**

კანდიდატთან გასაუბრების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატი არ იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, მაგალითად, მან ვერ განავითარა სათანადო მსჯელობა ერთსქესიანთა

| | |
|---|---|
| | ქორწინებისა და მათ მიერ შვილად აყვანასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომასთან დაკავშირებით.<br><br>გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა როგორც სამართლებრივი, ისე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. ის ცდილობდა დასაბუთებულად და ამომწურავად გაეცა პასუხი კითხვებზე. თუმცა, ზოგიერთ ზოგადსამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით მან ვერ განავითარა სათანადოდ არგუმენტირებული მსჯელობა. მაგალითად, საქართველოს მმართველობის ფორმასა და ტერიტორიულ მოწყობასთან, ასევე, ზოგადად სახელმწიფო მმართველობის ფორმებსა და ტერიტორიული მოწყობის სახეებთან დაკავშირებით.<br><br>კანდიდატმა ვერ შეძლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული იურისდიქციის ფარგლების სათანადოდ განმარტება და მისი შემოწმების პრინციპსა და ტესტზე მსჯელობა.<br><br>უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ბურჯანაძემ ამომწურავად და დამაკმაყოფილებლად იმსჯელა საკორპორაციო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მის ვიწრო სპეციალიზაციას.<br><br>გარკვეულ სამოქალაქოსამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატის მსჯელობა არ იყო ამომწურავი ანდა მოკლებული იყო დასაბუთებას, მაგალითად, წინარე ხელშეკრულებასა და განზრახულობათა ოქმს შორის სხვაობა, სამოქალაქო სამართალში იურიდიული ფიქციისა და პრეზუმფციის მნიშვნელობა და ა.შ..<br><br>საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი ხასიათის საკითხებზე მსჯელობისას მან დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა სრული რაოდენობის დაახლოებით 74%.<br><br>**<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>**<br><br>თამარ ბურჯანაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებების, გაცნობის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მის მიერ საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები არის დამაჯერებელი, სათანადოდ დასაბუთებული და განმარტებული. ამასთან, რაც მთავარია, მხარეთათვის გასაგები. კანდიდატი თავის გადაწყვეტილებებში ზოგიერთ საკითხზე მსჯელობისას უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის სასამართლო გადაწყვეტილებებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში |

| | |
|---|---|
| | კანდიდატს მოხმობილი აქვს საკმაოდ საინტერესო საქმეები აშშ-ის სასამართლო პრაქტიკიდან, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევაში აღნიშნულ საქმეთა დეტალიზებული მოხმობა არ ემსახურებოდა განსახილველი საქმისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასა თუ განმარტებას.<br><br>**<u>წერის უნარი</u>**<br><br>კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად მიმაჩნია, რომ წერილობით ის თანმიმდევრული და გასაგები ენით გადმოსცემს თავის მოსაზრებებს. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.<br><br>**<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>**<br><br>კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების უნარი, ის საუბრობს მშვიდად, თანმიმდევრულად და გასაგებად. თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ. მას გააჩნია განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.<br><br>**<u>პროფესიული თვისებები</u>**<br><br>თამარ ბურჯანაძე არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მას აქვს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საპროცესო ვადების დაცვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები (86,4%; 100%), რაც ამავდროულად მიგვანიშნებს კანდიდატის დროის სწორი მენეჯმენტის უნარს.<br><br>**<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>**<br><br>კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი. თუმცა, მიზანშეწონილია ის უფრო ხშირად და სიღრმისეულად გაეცნოს საკანონმდებლო სიახლეებს აქტუალურ საკითხებთან მიმართებით. ვინაიდან, გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატი არცთუ ისე აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს. კერძოდ, აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ კანდიდატმა ვერ განავრცო დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან, ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებული საკითხები.<br><br>**<u>პროფესიული აქტივობა</u>**<br><br>კანდიდატი საკმაოდ აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. |

| | |
|---|---|
| | თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის არ ეწევა სამეცნიერო თუ აკადემიურ საქმიანობას.<br><br>კანდიდატს აქვს მადლობის სიგელი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ პროექტში: „იმიტირებული პროცესი სამოქალაქო სამართალში“ აქტიური მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.<br><br>2005 წელს კანდიდატს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კლასის მრჩევლის საკლასო ჩინი. |

**სახელი და გვარი:** ლევან გზირიშვილი

**ხელმოწერა:**

**თარიღი:** 27.05.2021 წ.